# ГРУЗИНСКІЙ

# ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

## 1865.

## ІЮНЬ.

საქართჳელოს

სასულიერო მახარებელი.

ივნისი.

წელი Ⴁ.

## ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА и К-о.

# ОБЪ ИЗДАНІИ

## «ГРУЗИНСКАГО ДУХОВНАГО ВѢСТНИКА»

## *въ будущемъ $18^{65}_{66}$ году.*

Журналъ «Грузинскій Дух. Вѣстникъ», издаваемый съ 1-го іюля 1864 г., будетъ издаваться по той же, утвержденной Св. Сѵнодомъ, программѣ и въ слѣдующемъ году. Мѣсячная книжка будетъ заключать въ себѣ отъ 4-хъ до 6-ти печатныхъ листовъ, вмѣстѣ съ «Русскими Прибавленіями»; а сіи послѣднія—не менѣе одного листа.

Цѣна остается прежняя, т. е. съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ «Прибавленіями» на русск. яз., безъ доставки же и пересылки 4 р., за одни «Прибавленія» на русскомъ языкѣ особо подписывающіеся благоволятъ выслать 1 р. с.

Редакція приметъ всѣ мѣры къ тому, чтобы сдѣлать свое изданіе интереснымъ и полезно-занимательнымъ для читателей. — Вмѣстѣ съ симъ покорнѣйше проситъ она почтеннѣйшихъ оо. и гг., желающихъ возобновить подписку на журналъ, сдѣлать это заблаговременно, дабы дать возможность хоть приблизительно опредѣлить въ какомъ количествѣ печатать книжки.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской Духовной Семинаріи, на имя редактора-издателя.

---

## ი წ ყ ე ბ ა.

## ჟურნალზედ ხელის-მოწერა

## მ ე ო რ ე წ ლ ი ს ა-თ ჳ ს,

რომელიც მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაკტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხჳა ქჳყნებში გაგზავნით ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი; მიუტანელად და გაუგზავნელად ო თ ხ ი მ ა ნ., მარტო რუსულისათჳს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი.

იმათ ღმერთი, გამომხსნელი ეგვიპტიდგან. მოსე როდესაც ჩამოვიდა სინაის მთიდგან და ნახა კერპთ-თაყუვანისცემა ისრაიელთა, იმ გვარად განრისხდა ამ ყოფაქცევაზედ, რომ დაახეთქა მიწაზედ ფიცარნი რჯულისანი, რომელნიც მიიღო მან უფლისაგან, და განსტეხა იგინი ვითარცა აღარ სახმარნი და გამოუსადეგნი.

კით. როგორ დასაჯა მოსემ ისრაელნი კერპთ-თაყუვანისცემისა-თჳს ?

მიგ. მოსე ხედავდა, რომ ისრაელთა დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც გამოიხსნა იგინი მონებისაგან ეგვიპტელთასა და მიეცნენ კერპთ-თაყუვანისცემასა, გარდასწყვიტა, რომ დასაჯოს იგინი ფიცხად. მან უბრძანა ლევის შთამომავლობას, რომელიც დაშთა ერთგულად ჭეშმარიტისა ღუთისა, რომ მოჰკლან **3,000** კაცი ისრაელთაგანი, შემდგომ ავიდა კიდევ სინაის მთასა ზედა, იმყოფებოდა **40** დღეს ლოცვასა და ვედრებასა შინა, რათამცა შეებრალებინა ისრაიტელნი ღმერთსა; მიიღო კვალად ორნი ფიცარნი სჯულისანი. როდესაც მო-

სე ჩამოდიოდა მთიდგან, მაშინ პირი იმისი ბრწყი-
ნავდა როგორც მზე, ამისთჳს ხალხმა ვერ შეს-
ძლო იმისი ყურება პირ-და-პირ. შეიტყო რა ესა
მოსემ, შემდგომ როდესაც ლაპარაკს დაიწყობდა
ხომე, პირბადეს ჩამოიფარებდა სახეზედ.

კით. ღმერთმა ხომ სხვა ბრძანება არა მისცა რა მო-
სეს სჯულის გარდა ?

მიგ. ღმერთმა უბრძანა მოსეს აღაშენოს კარავი ანუ
მოძრავი ტაძარი. ეს იყო დიახ მშვენიერი ოთა-
ხი, რომელიც შეიძლებოდა ერთი ადგილიდგან
მეორეზედ გარდაეტანათ, მასში იყო დაცული კი-
დობანი აღთქმისა, ანუ პატარა ყუთი, რომელშიაც
იმეოფებოდნენ ფიცარნი სჯულისანი; აროնი და
ლევიტელნი მიჩენილ იყვნენ მოსამსახურედ და გამ-
გებლად კარვისა. ამის გარდა მოსემ მიიღო ღუ̂-
თისაგან ეკკლესიურნი და სამოქალაქო, ანუ სა-
ერო რჯულნიცა. ეს რჯულები უნდა აღესრულე-
ბინათ ყველა ისრაელთ ნამდვილად, ხოლო დამა-
რღვეველთა მისთა ღმერთი სჯიდა ფიცხელად.

კით. იყო მაგალითები რჯულის დამარღვეველთა ფიც-
ხად დასჯისა ?

მიგ. შვილნი აარონისა: ნადაბ და აბიუდ დაიწვნენ
ცეცხლითა, რადგანაც მათ მიიტანეს საკურთხეველ-
ზედ უ ც ხ ო ც ე ც ხ ლ ი. ორნი ისრაელთა-
განნი იქმნენ ქვით ჩაქოლვილნი: ერთი შეურაცხ-
ყოფისა-თჳს უფლისა, ე. ი. უპატიურად ხსენებისა-
თჳს მისი სახელისა; მეორე—რადგანაც ისა ჭკრეფ-
და შეშასა დღესა შაბათსა, როდესაც რომ ეს დღე
უნდა მხოლოდ ღუთის მსახურებისა-თჳს შეეწირა ყვე-
ლა ისრაელსა. კორეი, დაფანი და აბირონი ცოც-
ხლივ ჩაყლაპა დედა-მიწამა,რადგანაც იმათ უკმაყოფი-
ლობა გამოაცხადეს და აღდგნენ მოსეზედ; ხოლო მა-
რიამ და მოსესი,ამ საქმისთვისვე შეიქმნა კეთროვანი.

კით. რა განკარგულება მოახდინა მოსემ როდესაც
ისრაელნი მიახლოვდნენ აღთქმულ—ქანაანის ქუეყ-
ყანასა?

მიგ. მიახლოვდნენ რა ქანაანის ქუეყანას მოსემ გა-
გზავნა რავდენიმე კაცი დასახედავად. ამათ, მგზავ-

რობიდგან რომ დამბრუნდნენ უკან, მოუტანეს ის-რაელთ ამბავი, რომ ქანაანის ქუჴყანა არის უნა-ყოფიერესი, მაგრამ იქ მცხოვრები ხალხიც არის ძლიერი, მხნე და შეუპოვარი.—ამ ამბავმა დიდი ყვედრება და უპატიოება მიაყენა მოსეს ისრაელთ მხრით, ამ გულ-ღრმობისა და ღჵთის განკებუ-ლების შეურაცხყოფისა-თჳს, მოსეს პირით ღმერ-თმა გამოუცხადა ისრაელთ, რომ ვინც ოც წელიწად-ზედ მეტისა არის ვეღარავინ შევა აღთქმულს ქუჴყ-ყანაში, ხალევისა და ისუნავეს გარდა; ამიტომ ისრაიელნი ამის შემდეგ ორმოც წელიწადს უგ-ზო-უკვლოდ ჴქსელამდნენ არაბეთის უშენო ვაკეს.

კით. ვითარნი წინააღმდეგობანი და დაბრკოლებანი შე-ემთხვეოდათ ხომე ისრაიტელთ მოგზაურობის დროს?

მიგ. ისრაიელნი მოგზაურობის დროს ებრძოდნენ ამა-ლიკთა, ამორეველთა, მოაბელთა და სხჳათა ხალ-ხთა. ღმერთი ეხმარებოდა მათ საკვირველითა და ყოვლად-შემძლებელითა მალითა თჳსითა, ასე რომ ყველა ხალხი რომელთაც კი ისინი ეომებოდნენ,

იყვნენ მათგან დამარცხებულნი. ამალიკთა თანა ბრძოლის დროს მოსე მთასა ზედა იდგა ხელ-განპყრობილი ზეცისადმი იმ დრომდის, ვიდრე ისუნავემ, ისრაელთ წინამძღოლმა და განმგებელმა, სრულიად არ დაამარცხა მტერი.

კით. როგორ დაბოლოვდა მოსეს სიცოცხლე?

მიგ. მეორმოცე წლის განმავლობაში ისრაელთ გამოსვლიდგან ეგვიპტით ღმერთმა აღიყვანა მოსე მთასა ნ ა ვ ა ვ ს ა, აჩვენა იქიდგან აღთქმული ქვეყანა და იქვე გამოუცხადა, რომ ის ვერ შევა ქანაანის ქუეყანაში, რადგანაც ქორების მთის ახლოს მან გამოაცხადა მცირედ მორწმუნეობა, ანუ უიმედეულობა ღუთის შეწევნაზედ. მოსემ დანიშნა თავის მოადგილედ ი ს უ ნ ა ვ ე, და გარდაიცვალა მთასაზედა, ხოლო ადგილი იმის დასაფლავებისა დარჩა დღევანდელ დღემდინ გაუგებრად.

კით. მოსემ არ დაუტევა თავისი მწერლობა შემდეგ მიცვალებისა?

მიგ. მოსემ დაგვიტევა ჩუენ ხუთი წიგნი: შექმნათა,

გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე რჯუ-ლისა, რომელთაც მიიღეს წოდება შესაფერ იმისა, რასაც იგინი შეიცავენ თჳს შორის.

კით. რომელი შესანიშნავი მოთხრობა ეკუთვნის ებ-რაელთა მოგზაურობის დროს უშენო არაბეთის მინდორზედა ?

მიგ. ამ დროებას ეკუთვნის იობის ისტორია. ეს კა-ცი ჱსცხოვრებდა არაბეთში, იყო კაცი კეთილმოქ-მედი, კეთილ-მსახური და ფრიად მდიდარი. ღმერთს ენება გამოეცადა მოთმინება მისი, ამისთჳს მოა-კლო იგი სიმდიდრესა, შვილებსა და თითონ მას მოუვლინა ავათ-მყოფობა, ასე რომ იმის ტანი სულ დაიფარა წყლულებითა. მაგრამ იობი ამის-თანა უბედურ მდგომარეობაშიაც არა ჱკარგავდა სასოებას ღმერთზედა, რომელიც მას უყვარდა წრფელის გულითა. ამ შეურყეველი სიყვარულისა-თჳს ღმერთმა ისევ მოუბრუნა სიმთელე, დააჯილ-დოვა სიმდიდრითა უმეტეს პირველისა. მიანიჭა-მას შვიდი ვაჟი, სამი ქალი და განაგრძო მისი

სიცოცხლე **248** წლამდინ.

კით. ვითარი სასწაულები მოხდა ისრაელთ შესვლის დროს ქანაანის ქვეყანაში ?

მიგ. ებრაელთ შესვლის დროს აღთქმულ ქვეყანაში მოხდნენ, ისუნავესის წინა-მძღვრებით, მრავალნი სასწაულნი. მათ სურდათ გასულ იყვნენ იორდანეში; ამ დროს ეს მდინარე, ღუთის ბრძანებით ორად განიპო, და მათ მშრალ რიყეზედ გაიარეს. იორდანის გასვლის შემდეგ მათ სურდათ აეღოთ ქალაქი ი ე რ ი ქ ო ნ ი, თუთ გამაგრებული და მრიელი მთელ ქანაანის ქუწყანაში. ღმერთმა უბრძანა ისუნავეს, რომ შვიდ დღეს ატარონ კიდობანი აღთქმისა ქალაქის კედლების გარემემო. მართლა მეშვიდე დღეს ამ კიდობანის ტარების დროს, საყვირების ხმების და ხალხის ხმა-მაღლა ღაღადების დროს იერიქონის კედლები თავის თავად დაიქცნენ. ისრაიელნი შევიდნენ და დაიპყრეს ქალაქი.

კით. რა ჰქმნეს სხვა ქალაქების მცხოვრებთა, რომ

გაიგონეს საკვირველად დაპყრობა იერიქონისა ისუ-
ნავესისა მიერ ?

მიგ. გაბაონის ქალაქის მცხოვრებთა და იმათ მახ-
ლობელ მეფეთა შეაერთეს თავისი ჯარი და შემოებ-
ნენ წინ ისრაელთა. ისუნავე ჯერ გარე შე-
მოერტყა მათ, მერე წინ წარიქცია იგინი და დევნა
უყო საღამომდის, და რადგანაც სიბნელე ღამისა
დაუშლიდა ომის განგრძელებასა ამიტომ, შესთხოვა
ღმერთსა, რომ მზე შემდგარ იყო. მართლაც მზე
შესდგა, დღე განგრძელდა და ფიცხლავ მტრები
დამარცხდენ. ამ დამარცხების შემდეგ ისუნავემა
დაიპყრა სხვა მეფენიც ქანაანის ქვეყნისა რომ-
ლებიც საღმრთო წერილში ირიცხებიან 31—მდის
და შეიქმნა მფლობელი სრულიად იმ ქუეყნისა.—

კით. ვინ იყო გამგებლად დადგენილი შემდეგ ისუნა-
ვეს სიკვდილისა ?

მიგ. შემდგომ ისუნავეს სიკვდილისა ისრაიელთა ზე-
და გამგებლობდნენ მ ს ა ჯ უ ლ ნ ი, მათ შორის
უფრო შესანიშნავი იყვნენ შემდგომნი: გედეონი,

სამსონი, ილი და სამოელი. გედეონმა გაიმარჯვა მადიანელთა ზედა და გამოიხსნა ისრაიტელნი იმათის მონებისაგან. როდესაც ის გაემგზავრა საომრად შეჰკრიბა ოც და ორი ათასი მხედარი კაცი, მაგრამ ღმერთმა აღუთქვა გედეონს, რომ თითონ შეეწევა მათ, ამისთჳს უბრძანა, რომ შეამციროს ჯარი. გედეონმა თავისთან დაარჩინა მხოლოდ სამ-ასი კაცი, სხვანი გაისტუმრა და ამ მცირედი ჯარით დაამარცხა უმრავლესი ლაშკარი მადიანელთა.

კით. რით იყო უფრო შესანიშნავი ს ა მ ს ო ნ ი ?

მიგ. სამსონი იყო უფრო შესანიშნავი თავისი გასაოცარი მალით და ღონით, რომელიც ღმერთმა, მიანიჭა მას, მისთჳს რომ დედამ აღუთქვა ღმერთსა შეწირვა (ნ ა ზ ა რ ე ვ ე ლ ო ბ ა) სამსონისა. იმან სიყმაწვილეშივე გაგლიჯა ლომი, რომელიც შეხვდა გზაში. ფილისტიმელნი ნიადაგ მტრობდნენ ისრაელთა და ერთხელ თითონ სამსონიც გაარისხეს იმ გვარად, რომ მან გარდაუწვა ცეცხლითა სულ მთელი ჭირნახული წლისა, და მო-

სამკალი ყანები. ფილისტიმელთა ეწადათ მაგიერი გარდაეხადნათ ამ წყენისა-თჳს, მაგრამ სამსონი გლეჯავდა თვით უმაგრეს თოკებსაც, როდესაც კი მას ძილის დროს ხელებს შეუკრავდნენ. ერთხელ მან სახედარის ყბით მოჰკლა ათასი ფილისტიმელი, რომელნიც ერთბაშათ თავზე დაეცნენ. ამისთჳს ფილისტიმელთა დაამწყვდიეს იგი გ ა ზ ი ს ქალაქში და თითონ კარე შემოერტყნენ ციხეს, მაგრამ სამსონმა გამოამტვრივა ქალაქის კარები, აიკიდა ზურგზედ, აიტანა მთაზედ და დაურჭო იქა ჩარჩოებიანათ მთელი კარები მტრების პირ-და-პირ. უკანასკნელად სამსონმა თავისი თავი თითონვე დაღუპა. ის გაუტყდა თავის ცოლს დ ა ლ ი დ ა ს და უთხრა, რომ მისი ძალი მდგომარეობს მის ნაზარეველობაში, ამ აღთქმის ძალით, ვინც თავის თავს შესწირავდა ღმერთსა, მას თმები არ უნდა გაეკრიჭა. ამ ორგულმა ცოლმა ისარგებლა იმის ღრმა ძილით და მოჰკვეცა ამ დროს თმები სამსონსა. მაშინ ფი-

ლისტიმელთაც წაიყვანეს იგი ტყვედ, ამოსთხარეს თვალები და დაამწყვდიეს საპყრობილეში; მაგრამ როდესაც რომ თმის გაზდასთან ძალაც მოემატა, მაშინ ის წაიყვანეს ერთს ფილისტიმელთ დღესასწაულში სასაცილოდ, რომ ამ ბრმა სამსონზედ იხარონ, როდესაც ის შევიდა ხახლში სადაც იყვნენ **3,000** ფილისტიმელნი, მაშინ მოჰკიდა შენობის დედა ბოძს მკლავები, მოიზიდა და მირს დასცა. ამ გვარად თითონაც მოკვდა და მრავალნი ფილისტიმელნიც მასთან.

კით. ვინ დარჩა სამსონის მოადგილედ შემდგომ იმის სიკვდილისა ?

მიგ. ილი მღუდელ-მთავარი. ეს მსაჯული არა ცდილობდა მოექცია კეთილს გზაზედ თავის გარყვნილი შვილები—ო ფ ნ ი და ფ ი ნ ე ს ი, რომელნიც თავიანთ ურიგო ყოფა-ქცევით ღუთის რისხვას ვერ გარდაურჩებოდნენ, არამ-თუ ისინი, ვერც იმათი მამა. ღმერთმა გამოუცხადა ილის, რომ იმის შთამომავლობაში არ დარჩება მღუდელ-მთა-

ვრობა და მღუდელობა, იმის დაუდევნელობისა გამო. მართლაც, არ გამოსულა დიდი ხანი ამის შემდეგ, ფილისტიმელნი დაეცნენ ისრაელთა, ოფნი და ფინეს მოჰკლეს, რადგანაც ისინი ომში დაესწრნენ ამ დროს, და აღთქმის კიდობანიც წაართვეს. ილიმ როგორც გაიგონა ეს ამბავი, გადმოვარდა სკამიდგან, რომელზედაც იჯდა ისა ამ ამბავის შეტყობის დროს, წელი დაუშავდა მალიან და იმითი ჩქარა მოკუდა.

კით. ვინ მიიღო მსაჯულების თანამდებობა ილის შემდგომ ?

მიგ. ს ა მ ო ე ლ მ ა, ეს იყო უკანასკნელი მსაჯული ისრაელთა. დედამ სიყრმიდგანვე შესწირა სამოელი ღმერთსა, იზრდებოდა ილის ზედამხედველობითა, და იყო ამასთან განუშორებლივ დღე და ღამე ტაძრის კარზედ. იმისი კეთილ-მსახურება და სიმშვიდე იმ გვარად ესიამოვნებოდა ღმერთსა, რომ ილის ამ ემაწვილის პირით უცხადებდა ღმერთი თავის ნებას. პირველად სამოელი განაგებდა თა-

ვის თანამდებობის ვალ-დებულებას ფრიად კეთილ-გონიერად, მაგრამ მოხუცების დროს მან თავისი თანამდებობა გარდასცა თავის ორ შვილებსა, რომელთაც თავიანთ ურიგო ყოფა-ქცევით მთელს ისრაელთ შეამულეს თითქმის მსაჯულის სახელიცა. ამის გამო მთელმა ხალხმა სთხოვა სამოელსა, რომ განუწესოს მას მ ე ფ ე.

### მ ე ხ უ თ ე პ ე რ ი ო დ ი

ისრაელთ პირველი მეფე საულიდგან ბაბილოვნის ტყვეობამდინ. (513 წ.)

კით. ვინ იყო პირველი მეფე ისრაელთა?

მიგ. ს ა უ ლ ი, კისას მე, შთამომავლობისაგან ბენიამინისა. როდესაც ის თავის დაკარგულ სახედრებს ეძებდა—შევიდა სამოელ წინასწარმეტყუელთან და ჰკითხა მას, რომ ხომ არ იცის იმის სახედრები საით წავიდნენ? სამოელმა, ღუთის შთაგონებით, კი არ მიასწავლა სახედრები, არამედ სცხო მას ზეთი და დაადგინა მეფედ ისრაელთა. პირველად მეფე საული განაგებდა სამეფოსა ბრძნულად. ცდი-

ლობდა, რომ ამოეფხვნა მირიანათ ხალხში ცრუ-მორწმუნეობა; მაგრამ როდესაც დაამარცხა მრავალ-ნი მტერნი, მაშინ თითონვე ჩავარდა ცრუმორწ-მუნეობაში. დააპირა-რა ომი ფილისტიმელთა თა-ნა, საული წინათვე მივიდა ერთს გამოჩენილს იმა დროების მკითხავთან, ანუ მისანთან, სთხოვა იმას რომ თვალთ-მაქცობით და თილისმობის მალით გამოიყვანოს საფლავიდგან და წარმოუდგინოს მას ჩრდილი დიდი ხნის მკუ̂დრის სამოელ მღუ̂დელ-მთავრისა და მსაჯულისა. საულსა სურდა ამ ჩრდილისაგან წინათვე გაეგო რითი გარდასწყდე-ბოდა ომი ფილისტიმლებთა-თანა. მკითხავმა, თავის თვალთმაქცურის მოქმედების შემდეგ, გამოუცხადა მე-ფეს, რომ უბედურად დასრულდება ომი, საული დამარცხდებაო. მართლა როდესაც, ესე მოხდა, მაშინ საულს ისე შეეცვალა გული და გონება, რომ თითონვე გამოიჭრა ყელი თავის მახვილით.

კით. ვინ ჩაიბარა მმართებლობა საულის სიკვდილის შემდეგ ?

მიგ. დ ა ვ ი თ მ ა, იესეს შვილმა, შთამომავლობი-სგან იუდასა, რომელიც იშვა ბეთლემში. იმან თავისი თავი ასახელა ჯერ საულის სიცოცხლე-შივე: როდესაც ის ცხოვართ მწყემსად-იყო, მაშინ გავიდა საბრძოლად ფრიად მაღალ კაცთან—გ ო-ლ ი ა თ თ ა ნ. ეს კაცი იყო ფილისტიმელთაგანი და ითხოვდა ერთს ისრაელთაგანს საბრძოლად; მაგრამ იმისი გასაკვირველი მაღალი და ახოვანი ტანი ყველას აშინებდა, და ვერავინ გაბედა იმას-თან შებმა დავითის მეტმა. როდესაც გავიდა და-ვითი საბრძოლად, ღმერთმა მოსცა მას მძლევა ურწმუნოზედ, და დაამარცხა მტერი, ჯერ შურდულის ქვით წააქცია და მერე იმისავე ხმლით მოსჭრა გოლიათს თავი. მაშინ შერცხვენილნი უკუნ-იქცნენ ფილისტიმელნი. ამ შემთხვევამ გახადა დავითი ფრი-ად დიდებულად მთელს ისრაიელთ ქუეყანაში; მაგ-რამ საულმა ის დიდება შეიშურვა, იმ გვარად რომ რავდენჯერმე სურდა მოეკლა დავითი, მაგრამ ღმერ-თი იფარავდა თავის წინასწარმეტყუელსა და მო-

ნასა, რომელიც უნდა ყოფილ-იყო მეფედ და გამგებლად ისრაელთა ერისა.

კით. რა ჰქმნა დ ა ვ ი თ მ ა, როდესაც შეიქმნა სრული მფლობელი მთელი ისრაილთ სამეფოსი?

მიგ. დ ა ვ ი თ მ ა, როდესაც მიიღო მმართველობა სამეფოსი საულის შემდეგ, მაშინვე გარდაიტანა კიდობანი აღთქმისა ამინადაბის სახლიდგან იერუსალიმში დიდის დღესასწაულობით. მან დაამარცხა ფ ი ლ ი ს ტ ი მ ე ლ ნ ი, მ ო ა ბ ე ლ ნ ი და ს ი რ ი ე ლ ნ ი. როდესაც დავითმა თავის მტრებზედ გაიმარჯვა, მაშინ თითონვე ჩავარდა ცოდვაში. მაგრამ ყოველთჳს მხურვალე გულით აღიარებდა ღუთის წინაშე თავის შეცოდებას და შეინანებდა. სიკუდილის წინათვე დანიშნა მან თვის მემკვიდრედ ს ო ლ ო მ ო ნ ი და გარდაიცვალა **77** წელსა შობიდგან. იმეფა მან **40** წელი ისრაელთა ზედა: მეფე დავითმა ზეგარდამო შთაგონებითა სულისა წმიდისათა დასწერა ფსალმუნები, რომელშიაც არიან მრავალ-გვარნი წინასწარმეტ-

# ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა
მარიამისა.

თ ა რ გ მ ნ ი ლ ი

რუსულითგან ქართულად მღვდლის თ ა დ ე ო ზ გ ა ნ დ ე-
ლ ა კ ი ს ა-მ ი ე რ.

გ ა მ ო ც ე მ უ ლ ი

საქართველოს სასულიერო მახარებლის რედაქციისაგან.

---

**1865.**

**ВЪ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА И К-О.**

## მ ი ძ ი ნ ე ბ ა

# ყოვლად წმიდისა ღუ̂თის-მშობლისა.

---

ოდეს შესრულდა ყოველივე საიდუმლო ჩუ̂ენის ცხოვრებისა ღვაწლითა ჯუ̂არისათა შეწირვითა მაცხოვარისა-მიერ თავისა თჳსისა და საღმრთოჲთა სიყვარულითა მისითა, და რაჟამს იგი ხილულად წინაშე მოწაფეთა თჳსთა ამაღლდა ზეცად, მაშინ დაშთა ქუ̂ეყანასა ზედა დამტკიცებისა-თჳს უმეტეს სარწმუნოებისა და ნუგეშინის-მცემელად პირველყოფილთა ქრისტიანეთა ყოვლად-წმიდა ქალწული დედა ღუ̂თისა, დაუცხრომელი შუ̂ა-მდგომელი ჩუ̂ენ ცოდვილთა თჳს. მან მრავალ-ჟამ იცხოვრა რათამცა იხილოს დამტკიცებული და განვრცელებული ყოველსა ქუ̂ეყანასა ზედა დიდება ძისა და ღუ̂თისა თჳსისა. იხილა მან აღსრულება წმიდათა სიტყუ̂ათა მისთა, იხილა თავი თჳსი მის მიერ დიდებული და ნეტარ ქმნილი ყოველთა მიერ, რომელნიცა ღირს-იყვნენ მიღებად მაცხოვარებითისა სიტყჳსა მისისა და განწმედად ნათლის-ღებითა ტკბილისა სასოებითა საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა. დაღაცათუ იყო იგი დიდებულ მორწმუნეთაგან, და ფრიად პატივ-ცემულ, გარნა წმიდა სული მისი აღეგზნებოდა სურვილითა დაუტევოს მიწიერნი ხორცნი და სამწუხარო მხვედრი ესე, რათამცა დასტკბებოდეს დაუცხრომელის მჭვრეტელობითა პირისა ძისა და უფლისა თჳსისათა. სიყვარული მისი უძლიერეს სერაფიმთაცა სიყვარულისა აღევლინებოდა უფლისადმი. ყოვლად-წმიდანი

თვალნი მისნი გარდამოსთხევდნენ ნაკადულთა ცრემლთათა; მხურვალენი ლოცვანი მისნი აღვიდოდეს უფლისადმი და მან კეთილ-ინებოს აღუვანება მისი თჳსსა ზეციურსა სოფელსა შინა საუკუნოჲსა სიხარულისასა.

ყოვლად-წმიდა იმყოფებოდა სახლსა შინა იოანე ღუთის-მეტყუჱლისასა სიონის მთასა ზედა, და ხშირად ვიდოდა ელეონის მთასა, რომლიდამ ძე მისი ქრისტე ამაღლდა ზეცად და მუნ დაღვრიდა ცრემლთა თჳსთა და აღავლენდა ლოცვათა. ერთგზის ჟამსა მხურვალისა ლოცვისა მისისასა მსწრაფელ განშორებისა-თჳს სხეულისაგან და შეერთებისა-თჳს ქრისტესთანა, წარმოუდგა მას მთავარ-ანგელოსი გაბრიელ, რომელიცა მსახურებდა მას სიყრმით მისითგანვე, და მოართმევდა საზრდოსა წმიდათა შინა წმიდათასა, იყო მაუწყებლად განხორციელებისა და ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა განუშორებელ მცველად მისა. განბრწყინვებულითა პირითა, ახარა სახარულევანი სიტყუა ღუთისა მისის მალიად მიცვალებისა-თჳს, რომელიცა ჯერ-იყოშესრულებად შემდგომ სამის დღისა. ანგელოსმან აუწყა რა ყოვლად-წმიდა ქალწულს ჟამისა-თჳს სიკუდილისა, ჰრქუა, რათამცა არა შეშინდეს იგი, არამედ განიხაროს მისთჳს, რომელ უკუდავის ცხოვრებისა მიმართ მივალს იგი და ეგების საუკუნოდ უკუდავისა მეუფისა თანა დიდებისასა. « ძე შენი და ღმერთი ჩუენი, ეტყოდა იგი, მიგელის შენ, ყოველთა მთავარ-ანგელოსთა, და ანგელოსთა, ქერაბიმთა და სერაფიმთა და ყოვლითა ზეცითა სულთა თანა და სულთა თანა მართალთა ზეცათა თჳსთა სასუფეველსა შინა, რათამცა შენ, დედა მისი სცხოვნდებოდე და მეუფებდე მისთანა საუკუნოდ. « ნიშნად უკუე მის მიერ სხეულევანის სიკუდილსა ზედა ძლევისა, (ვინაჲთგან ყოვლად-წმიდასა სიკუდილი სულიერი ვერა შეეხებოდა) კეთილ-მაუწყებელმან მოართვა მას რტო ფინიკის ხისა სამოთხიდამ მოღებული, ბრწყინვალე ნათლითა ზეციურისა მადლისათა, რათამცა რტო ესე წარიღონ კუბოს წინაშე ჟამსა ყოვლად წმიდისა ჰატიოსნისა სხეულისა მისისა დაფვლისასა. ანგელოსმან აუწყა მას, რამეთუ სიკუდილი მისი იქმნება, ვითარცა წყნარი ძილი, თჳთ მცირეს ჟამში, და შემდგომ გამოსცხადნეს თვალთა მისთა ზედა

კჳალნი სიკჳდილისანი, გითარცა მცირე დრემა თვალთა, იგი ხედავს უკჳ-დავსა ცხოვრებასა და დიდებასა ნათელსა შინა პირისა უფლისასა და გან-ჰსცხრების და იხარებს გარდავალს რა მისთანა ზეცად». ყოვლად-წმიდამან გამოუთქმელად განიხარა. და იქმნებოდა არაჲმე მისთჳს უტკბილეს მისა, ვითარ იგი აღსვლა ზეცად ძისა და ღმრთისათანა თჳსისა და მისთანა და-ტკბობა საუკუნოდ მხედველობითა პირისა მისისათა? ყოვლის სულით მადლობდა იგი შემოქმედსა და თაყვანისმცემულმან მისმან ვიდრე მიწად-მდე, ჰრქჳა: მე არა ძალ-მედვა ღირს ყოფად შენ მეუფისა ჩემისა, სა-შოსა ჩემსა მიღებისა, უკეთუმცა თჳთ შენ არა შემიწყალე მე მხევალი შენი! მე დავიმარხე რწმუნებული ჩემდა საუნჯე და აწ გევედრები შენ მეუფეო დიდებისაო! შემზღუდენ მე და დამიფარენ ძალთაგან გეენის მფლობელისათა! ცანი და ანგელოსნი წინაშე შენსა მარადის ძრწიან; და უმფრორე თიხიერი კაცი, შექმნილი მიწისაგან, არა მქონებელი თჳს შორის არა ვითარისამე კეთილისა, გარეშე მისა, რასაცა მიიღებს შენ-გან გამოუთქმელისა სახიერებისამებრ შენისა.

დედოფალსა სურდა ხილვა დროსა მიცვალებისასა წმიდათა მოციქულ-თა, რომელნიცა განთესულ-იყვნენ ყოველსა ქჳეყანასა ზედა და ევედრე-ბოდა ღმერთსა, რათამცა ჟამსა მიცვალებისა მისისასა არა მიუშვას იგი ხილვად მთავარი ბნელისა და ყოველნივე საშინელებანი მისნი, არამედ თჳთ ძე და ღმერთი მისი ყოვლითა ანგელოსითა თჳსითა, მოვიდეს მისდა აღთქმისამებრ თჳსისა და მიიღოს სული მისი.—მას ჟამსა შინა, ოდესცა ყოვლად-წმიდა აღავლენდა ელეონის მთასა ზედა კეთილ-მსა-ხურთა ვედრებათა მუხლ-მოდრეკით, შესრულდა სასწაული. ხენი ზეთის-ხილისანი, ვითომც სულიერნი რაჲმე ყოვლად წმიდისათანა მოიდრიკ-დნენ თავთა მწვერვალთა თჳსთათა მიწადმდე! იგინი თითქმის აძლევდენ მას პატივსა და მსახურებდენ მას, ვითარცა დედუფალსა, მოიხრებოდიან რა ყოველ-გზის მიწადმდე, და კვალად მასვე ჟამსა აღიმართებოდიან, ვითარცა იგი! შემდგომ ლოცვის შესრულებისა ყოვლად-წმიდა ქალწუ-ლი წარვიდა სახლსა თჳსსა და სრულებით სახლი იგი შეიძრა უხილა-

ვის ღუთაებრივის ძალისა მიერ, რომლითაც ყოვლად-წმიდა შეიმოსა წმიდის დიდებითა, მისის განმაბრწყინვებელითა. ზეციური პირი მისი, უწინარესცა მარადის ბრწყინვალე მადლითა, აწ განბრწყინდა გამოუთქმელითა დიდებითა, უმეტეს მოსეს პირისა, ოდესცა იგი სინაის მთასა ზედა თანამზრახველობდა ღუთისათანა ისრაილისა. ყოვლად-წმიდამ იწყო მომზადება მიცვალებისადმი. პირველად აუწყა მან საყვარელსა თჳსსა მისდა ძედ მითვისებულსა იოანნეს, და უჩვენა მას ანგელოსისა მიერ მოტანილი ნათელ-ცისკროვანი რტო, უანდერძა წალება მისი საფლავად მისდა. შემდგომად სხუათაცა სახლეულთა, მყოფთა სახლისა მათისათა, აუწყა მსწრაფლი თჳსი აღსრულება, და უბრძანა განმშვენება განსასვენებელისა და საწოლისა თჳსისა, კმევა საკმევლისა, აღნთება სანთლისა და მომზადება ყოვლისავე სახმარისა დასაფლავებისა-თჳს. იოანე წარგზავნა წმიდის იაკობისადმი, ძმისა ღუთისა, რომელიცა იყო პირველ არხიეპისკოპოსად იერუსალიმს და სხუათა მონათესავეთა და მოყვასთა თჳსთა უწყებად მოჴლეს ჟამში მიცვალებისა-თჳს დედისა ღუთისა, დაუნიშნა მათ დღეცა მიცუალებისა. ხოლო წმიდა იაკობმან აუწყა ესე ყოველთა მორწმუნეთა, რომელნიცა იყვნენ არათუ იერუსალიმსა, არამედ მახლობელთა და გარემოთა ქალაქთა და სოფელთა შინაცა. ყოველნი მონათესავენი და სიმრავლე ქრისტიანეთა ორისავე სქესისა ყოვლით კერძო მომდინარეობდნენ ღუთის-მშობლისადმი. დედუფალმან ყოველთა მოუთხრა სიტყუანი ანგელოსისანი, და დაუმტკიცა მათ თქმული,, უჩუენა რა მათ რტო ფინიკისა სამოთხითგან ღუთისა, მისდა მოტანილი კეთილ-მაუწყებელის მთავარ-ანგელოსის გაბრიელის მიერ ბრწყინვალე, მსგავსი ზეციურის დიდების სხივისა. ყოველნივე მოსრულნი მისდა, რომელთა ესმა მიცუალება მისი, სტიროდეს და ხმითა გოდებისათა აღავსეს სახლი, ევედრებოდეს დედუფალსა, რათა არა დაუტევოს იგინი ობლად. ყოვლად-წმიდამ ჰრქუა მათ: «არა ჟამ-არს შემუსვრილება, არამედ სიხარული განსვლისა-თჳს მისისა, ამისთჳს რომელ მიცუალებისა შემდგომ იქმნების იგი უმახლობელეს საყდრისადმი ღუთისა, იხილავს პირის-პირ ძესა და ღმერთსა

თჳსსა და თანამზრახველთა მისთანა, არა დააცადებს ლოცვასა ყოველთა თჳს მოწყალებისა-თჳს ღ̂თისა». იგი ნუგეშსცემდა მტირალთა მით, რომელ არათუ არა დაუტევებს მათ ობლობასა შინა შემდგომ მიცვალებისა თჳსისა, არამედ ყოველსა სოფელსა მოხედავს და დაიფარავს, შეეწევის მარადის გლახაკთა. ესე ვითარითა სიტყვითა ნუგეშინის-ცემისათა, განუქარვებდა იგი მწუხარებასა და ცრემლთა გარეშემომზღუდველთა მისთასა. სხ̂ჳსათა შორის ორი სამოსელი თჳსი უანდერძა ორთა საწყალთა ქვრივთა, რომელნიცა მსახურებდენ მას გულს-მოდგინებით და სიყვარულით, და მისგან გამოიზრდებოდნენ. ეგრეთვე მანვე ჰქმნა ანდერძი რათა სხეული მისი დამარხონ გეთსამანიასა შინა, სადაცა განისვენებდნეს მართალნი მშობელნი მისნი იოაკიმ და ანნა, და წმიდა იოსებცა დამწინდველი მისი იოსაფატის ხევში საშუალ იერუსალიმის და ელეონის მთისა, სადაცა იყო აგარაკი ყოველთა ღარიბთა ერთა.

და ვითარცა დედა ღ̂თისა ნუგეშინის-ცემდა წინამდგომთაცა მისთა, შეის განხდა ხმა, მსგავსი ქუხილისა, და ღრუბელთა სიმრავლემან შემოზღუდა სახლი იგი, ღრუბელნი იგი იყვნეს, რომელთა ზედა ბრძანებისამებრ ღ̂თისა, მოციქულნი, განთესულნი ყოველსა ქ̂ჳყანასა ზედა, მოყვანილ-იქმნენ ანგელოსთა მიერ იერუსალიმს და წარდგენილ წინაშე ბჭეთა ყოვლად-წმიდის ღ̂თის-მშობლის სახლისათა. იხილეს რა მათ ურთიერთი ფრიად განიხარეს და განკვირვებით ჰკითხვიდეს: თუ რაჲსათჳს შეჰკრიბნა იგინი უფალმან ? წმიდა იოანე ღ̂თის-მეტყველი განვიდა მიგებებად მათდა, სიხარულით და ცრემლით მოეხვევოდა მათ იგი, და აუწყა მსწრაფლ მიცვალებისა-თჳს ღ̂თის-მშობლისა, ქ̂რს̂ტიანურის ცხოვრებით, ზეციურისადმი . . . მაშინ წმიდათა მოციქულთა გულისხმა-ჰყვეს, რომელ უფალმან შეჰკრიბნა იგინი კიდეთგან ქ̂ჳყანისა, მისთჳს რათა ეგნენ იგინი ჟამსა ყოვლად-წმიდისა დედისა მისის ნეტარად განსვენებისასა და პატივით დამარხონ ყოვლად-წმიდა სხეული მისი. გულნი მათნი შეძრწუნდნენ მწუხარებითა. და შერავიდნენ განსასვენებელსა შინა, იხილეს მათ დედა ღ̂თისა და მშვიდობით მჯდომარე საწოლსა

ზედა, აღვსებული სულიერის სიხარულითა, და ესრეთ მიულოცეს მათ: « კურთხეულ ხარ შენ უფლისა მიერ, რომელმან შექმნა ცა და ქჳეყანა !» ყოვლად წმიდამან, ჰრქჳა მათ: « მშვიდობა თქჳენდა, ძმანო უფლისა მიერ აღრჩეულნო. » და გამოიკითხვიდა მათგან, თუ ვითარითა სახითა იგინი მისდამო მოვიდეს ? მოციქულთა მოუთხრეს მას, თუ ვითარ სულითა ღჳთაებრივისა ძალისათა მხარეთა მათგან, სადაცა ჰქადაგებდნენ, იქმნენ იგინი აღტაცებულ და მოყვანილ მუნ ღრუბლითა. ყოვლად წმიდამ ადიდა რა ღმერთი მისთჳს, რამეთუ მან აღასრულა ვედრება და სურვილი გულისა მისისა, რათამცა ეხილვოს განსვენებისა ჟამსა მისსა წმიდანი მოციქულნი, ჰრქჳა მათ: « უფალმან მოგიყვანათ თქჳენ ჩემდა მიმართ ნუგეშინის-საცემელად სულისა ჩემისა, რომელისაცა წესისამებრ მოკჳდავის ბუნებისა დადგა ჟამი განსაზღვრებული შემოქმედისა მიერ განშორდეს იგი სხეულთაგან. მათ მწუხარებით ღაღადჰყვეს მისდამი: » შენ გხედავდით, ვითარცა თჳთ მეუფესა ჩჳენსა და მოძღვარსა ვიდრემდის იყავ ქჳეყანასა ზედა; შენ იყავ ნუგეშინის-მცემელი ჩჳენი და აწ ვითარღა მოვითმენთ მწუხარებასა გულთა ჩჳენთასა, ოდეს მოგვაკლდები შენ ? გვიხარის ჩჳენ მისთჳს, რამეთუ შენ განხვალ ნებისამებრ ქრისტეს მაცხოვრისა, და რომელ განზრახვა ღჳთისა შენ ზედა აღსრულდების, და მასთანავე ვსწუხვართცა, რომელ დავშთებით ჩჳენ ობლად და ამიერითგან ვერღარა უკჳე გიხილავთ შენ აქა დედასა ჩჳენსა და ნუგეშინის მცემელსა. » უბნობდენ რა სიტყჳსა ამას წმიდანი მოციქულნი დაივლტობოდიან ცრემლითა. ყოვლად-წმიდამან უპასუხა მათ: « ნუ ჰსტირთ მეგობარნო და მოწაფენო ქრისტესნო! ნუ შეაშფოთებთ მწუხარებითა თქჳენითა სიხარულსა ჩემსა, არამედ ჩემთანა თქჳენცა იხარეთ, რამეთუ მე მივალ ძისა და უფლისა ჩემისა მიმართ. თქჳენ უკჳე მიაბაროთ რა სხეული ჩემი საფლავსა გეთსამანიასა შინა უკუნი ქეცით ქადაგებად სახარებისა—სიტყვისა ღჳთისა. ხილვა ჩემი შემდგომ მიცვალებისაცა ჩემისა უკეთუ ინებებს უფალი ძალ-გიძსთ. » ჟამსა ამა დედისა ღჳთისა მოციქულთა თანა საუბრობისასა, მოვიდა საღმრთო მოციქულიცა პავლე. ჩუ-

რი რჩეული ღჳთისა და დავარდა რა გვარცხლ-ბეკთა ფერხთა ყოვლად წმიდის ქალწულისათა, იწყო დიდება მისი ესრეთ: «გიხაროდენ დედაო ცხოვრებისაო და საგანო ჩემის კეთილ-უწყებისაო! თუმცაღა მე ვერა დავსტკბი მხედველობითა ხორცთა შინა მყოფისა უფლისა ჩემისა იესოს ქრისტესითა ამაღლებადმდე მისა ზეცად, გარნა აწ მხედველი შენი, ვგონებ ვხედავ მას.» წმიდის მოციქულის პავლესიასა, გამოცხადნენ მოწაფენიცა მისნი: დიონოსი არეოპაგელი, ი ე რ ო თ ე საკვირველი, ტიმოთე და სხჳანი სამეოც და ათთა მოციქულთაგანნი, შეკრებულნი მუნ სულისა მიერ წმიდისა, და ეღირსნენცა მიღებასა ყოვლად კურთხეულისა დედისა ქალწულის კურთხევისასა, და დამარხვასა ყოვლად პატიოსნისა სხეულისა მისისასა. ყოვლად-წმიდამ მოუწოდა თჳსდამი ყოველსა მათგანსა, სახელდობ აკურთხა იგინი და აქებდა სარწმუნოებასა მათსა და შრომასა ღვაწლთა შინა სახარებისათა ქრისტეს-თჳს, მსურველი ყოველთა თჳს საუკუნოჲსა ნეტარებისა, ილოცვიდა კეთილ-მდგომარეობისა-თჳს ყოვლისა სოფლისა.

დადგა მეათხუთმეტე რიცხვი აგვისტოს თთვისა უკანასკნელი დღე, ყოვლად-წმიდის ქალწულისადმი ანგელოსისა მიერ უწყებული. დღე ესე იყო მიცვალებისა მისისა. ლამპარნი აღნთებულნი იწვებოდიან; მოციქულნი ადიდებდნენ ღმერთსა; ხოლო ყოვლად-წმიდა ქალწულმან განისვენა დიდმშვენიერად განბრწყინვებულსა სარეცელსა ზედა. მოელოდა რა ნეტარსა აღსასრულსა თჳსსა და მოსვლასა ძისა და უფლისა თჳსისა. მყის გამობრწყინდა განსასვენებელსა შინა გამოუთქმელი ნათელი ღჳთაებრივისა დიდებისა და ნათელი ლამპართა დააბნელნა. შეძრწუნდნენ ყოველნი მუნ მყოფნი ოდეს იხილეს, რამეთუ ლამპა (ზემორეთ ნაწილი) განსასვენებელისა გაიხსნა და შთამოვიდა ზეცით თჳთ მეუფე დიდებისა ქრისტე ურიცხვთა ანგელოსთა, მთავარ ანგელოსთა და ყოველთა ზეციურთა ძალთა, მართალთა სულთა, წმიდათა წინაპართა და წინასწარმეტყუჱლთა თანა, რომელნიცა ოდესმე გვაუწყებდნენ ყოვლად წმიდისა ქალწულისა-თჳს, და მიეახლა ყოვლად-წმიდასა დედასა თჳსსა. იხილა რა ძე თჳსი, ყოვლად წმიდამან, იწყო ღაღადება და გალობა სიხარულითა, ჩუჱულებისამებრ თჳსისა:

«ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთის მიმართ მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თჳსისასა!» და თაყუანის-სცეს უფალსა თჳსსა. მიეახლოებოდა რა მისდამი, ჰსჭვრეტდა მას, თვალითა სიყუარულით აღვსებულითა და ეტყოდა: «მოვედ მოყუასო ჩემო! მოვედ ტრედო ჩემო! მოვედ უძვირფასესო პეპელო ჩემო, და შევედ სამცველოსა შინა საუკუნოჲსა ცხოვრებისასა! «ხოლო ყოვლად-წმიდამან თაყუანისცა მას და ჰრქუა: «კურხეულ-არს სახელი დიდებისა შენისა, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, რამეთუ აღმირჩიე მე მდაბალი მხევალი შენი, მსახურებად საიდუმლოჲსა შენისა; მომიხსენე მე, მეუფეო დიდებისაო, საუკუნოსა სასუფეველსა შენსა: შენ უწყი, რამეთუ შეგიყვარე შენ ყოვლითა გულითა ჩემითა, და დავიცვე რწმუნებული შენ მიერ ჩემდა საუნჯე. აწ მიიღე სული ჩემი მშვიდობით, და დამიფარე მე უფლებისაგან ბნელისა და ნუ შემეხების მე ვითარიმე ცბიერობა სატანაჲსა». უფალმან ნუგეშისცა მას ტკბილითა სიტყჳთა, რათამცა არა შეეშინოს მას სატანებრივის ძალისა, რომელიცა იყო დათრგუნვილ ფერხითა მისითა და რათამცა თჳნიერ ძრწოლვისა აღვიდეს ქუეყნიურისა სოფლიდამ ზეცად. ყოვლად-წმიდამ, მიუგო მას სიხარულითა: «განმზადებულ-არს გული ჩემი, ღმერთო, განმზადებულ-არს გული ჩემი, და განამეორებდა რა უწინარესსა თჳსსა სიტყუასა: «იყავნ ჩემთანა სიტყუისამებრ შენისა,» მიისვენა სარეცელსა ზედა თჳსსა. უაღნთებულესის სიყუარულითა ხედვიდა ბრწყინვალესა პირსა უფლისა და საყუარლისა ძისა თჳსისასა, და განიხარებდა რა გამოუთქმელის სულიერის სიხარულითა, უვნებელად და უტკივნეულოდ, მიაბარა სული თჳსი ხელთა ძისა თჳსისათა, და ვითარცა ტკბილითა სულითა მიიძინა. მან, რომელიცა ყოვლად-წმიდამან უხრწნელად მუცლად-იღო და შუა თჳნიერ ტკივილისა, და კეთილ-ინება, რათამცა წმიდამან სულმან მისმან, აღმომავალმან სხეულიდამ, არა გამოსცადოს ტკივილი, და ამისთჳს არა უტევა ხრწნა შეხებად ყოვლად წმიდასა სულსა მისსა. მსწრაფლ განხდა სახარულევანი გალობა ანგელოსთა და განმეორდებოდიან სიტყუანი კეთილ-მაუწყებელისა გაბრი-

ილისანი: გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენთანა; კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის.» ესრეთ ზეციურნი ძალნი დიდებულად უძღოდენ ზეცად სულსა ზეცის ღუთისასა, აღყვანებულსა თჳთ უფლისა მიერ. და მოციქულნი ეღირსნენ რა ხილვასა ამა დიდებულისა ჩუენებისასა, უძღოდენ მას თვალითა, ვითარცა ოდესმე თჳთ უფალსა იესო ქრისტესა, ელეონის მთიდამ ამაღლებულსა. ძრწოლასა შინა იყვნეს იგინი, დაივიწყეს რა ყოველივე სხუაჲ და თჳთ თავიცა თჳსი და მოეგნეს რა თავსა თჳსსა თაყვანი-სცეს უფალსა, აღმამაღლებელსა სულისა დედისა თჳსისასა, და შემორაზღუდვიდეს იგინი ცხედარსა მისსა ცრემლითა, იხილეს მათ პირი მისი ბრწყინვალე, ვითარცა მზე, და ყოვლად-წმიდისა სხეულისაგან აღმოდიოდა საკვირველი კეთილი სუნნელება, რომლისა არა ვითარისა ქუეყნიურისა ნელსაცხებელისა შედარება არა შესაძლო-იყო, და რომლისაცა აღწერა შეუძლებელ-არს კაცობრივის ენითა. ყოველთა ამბორი-უყვეს შიშითა და კეთილ-მოწიწებითა სხეულსა ყოვლად-წმიდისასა და განათლდენ და აღივსნენ სულიერითა მადლითა და სიხარულითა მხოლოსა მისდამი. ერთისა მხოლოს მისდამი მიახლებითა, სნეულნი იკურნებოდნენ, ბრმათა აღეხილებოდათ, ყრუთა მიიღეს სმენა, მკელობელნი ვიდოდეს; არა წმიდა სულნი განიდევნებოდიან და ყოველი უძლურება მოისპობოდიან.

შემდგომად ამისა გაასვენეს სხეული ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობლისა, რომელიცა წმიდათა მოციქულთა: პეტრემ, პავლემ, იაკობმან ძმამან უფლისამან და სხუათა უმაღლესთა ამათ მოციქულთა თანა აღიღეს სხეული მხართა თჳსთა ზედა, ხოლო წმიდა იოანე ღუთის-მეტყუელი წინა-უძღოდა მას და მიჰქონდა ნათელ-ცისკროვანი რტო. სხუანიცა წმიდანი და ერი მრავალი თანა-უძღოდენ მათ ლამპრებითა, საცეცხურითა და ჩუეულებრივითა გალობითა. წმიდამან პეტრემ იწყო საგალობელთა გალობა, და სხუანი თანახმად მისა ჰგალობდენ. იგინი ჰგალობდენ ფსალმუნსა დავითისასა: «გამოსვლასა მას ისრაილისასა ეგვიპტით,» და შემდგომ თჳთოეულს მუხლზედ ყოველნი განამეორებდენ: « ალლილუია! «ეგრეთვე ჰგა-

ლობდენ სხჳსაცა სამადლობელსა და სადღესასწაულოსა ფსალმუნსა, ვი-
თარ იგი აუწყებდა მათ სული წმიდა. ესრეთ იწარმოვა დღესასწაულებით
და დიდებით გარდასვენებამ სხეულისა დედისა ღჳთისა სიონიდამ იერუ-
სალიმით გეთსამანიის დაბასა შინა. სხეულსა ზედა მისსა და მათ ზე-
დაცა, რომელნიცა წინაუძღოდენ გამოცხადდა ვრცელი ნათელ-ცისკროვა-
ნი სიმრგვლე ღრუბლისა, მსგავსი გვირგვინისა. მასვე ჟამსა შინა ჰაერში
განხდა საკვირველი ანგელოსებრივი ტკბილი გალობა, რომლისა ხმა ეს-
მოდათ თჳთოეულსა. ნათელ-ცისკროვანი სიმრგვლე და ანგელოსებრივი
გალობა ესე ჰსრბოდა ჰაერში სხეულსა ზედა დედისა ღჳთისასა თჳთ აღ-
გილადმდე საფლავისა.

ჟამსა ამა სახარულევანის მოგზაურობისასა, რომლისა აღწერა არა არს
შესაძლო არა რომლისამე კაცობრივის ენითა, მოხდა რაოდენიმე უსია-
მოვნო შემთხვევა. ესმა-რა სიმრავლესა ურწმუნოთა ჰურიათასა, მცხოვ-
რებთა იერუსალიმისათა უჩჳეულო გალობა, და იხილეს რა, რომელ დი-
დებით მიაქჳნდათ სხეული მარიამისა, გამოვიდნენ სახლებთა თჳსთაგან
და მირბიოდიან კვალისა-მებრ მათისა, რომელთაცა ქალაქიდამ მიჰქონ-
დათ და უკვირდებოდათ ესრეთი უჩვეულო პატივი სხეულისადმი დედისა
იესოსი. ამა ამბავმან მიაწია მღჳდელთ-მთავართა და მწიგნობართადმდე,
რომელნიცა აღიძრენ რისხვითა და შურითა, წარგზავნეს მსახურნი თჳსნი
და მხედარნი და ასწავეს მათ, რათამცა განსდევნონ იგინი საჭურველითა
და კეტებითა და მოჰკლან მოწაფენი იესოსნი, ხოლო სხეული ყოვლად-
წმიდისა დაჰსწვან. ესრეთ განსწავლულნი მათ მიერ მოიწივნენ შეჭურ-
ვილნი ვითარ იგი საომრად ბოროტ-მოქმედებითა თჳსითა; გარნა მო-
რაეახლნეს მათდამი, მაშინ ჵსწრაფელ ნათელ-ცისკროვანი გვირგვინი წი-
ნამძღოლი ჰაერსა ზედა დაეშვა ქჳეყანასა და ვითარცა კედელი შემოზ-
ღუდვიდა კრებასა წმიდათა მოციქულთასა და ყოველთა მათ თანა მყოფ-
თა, ესრეთ რომელ გარეშეთა ესმოდათ მხოლოდ გალობა, და ვერღარ-
ძალედვათ, ბოროტ-მოქმედთა ხილვა მათი. წმიდათა ანგელოსთა, რო-
მელნიცა უხილავად ჰფრინვიდეს ყოვლად-წმიდის სხეულისა თანა და ყო-

ველთა მორწმუნეთა მისთათანა, დაუბრმავნეს მოშურნეთა მათ თვალნი, ესრეთ რომელ, რომელთამე მათგანთა მუნვე შეიწროებულთა ზღუდეთა შუა ქალაქისათა განიტეხნეს თავნი თჳსნი, და რომელთამე არღარა უწყოდენ თუ სადა ვიდოდეს და ემიებდნენ წინა-მძღოლთა. მასვე გზით ვიდოდა ერთი ებრაელთა მღუდელთაგანი სახელდობ ათონი, და რათამცა გამოსჩნდეს დიდი სასწაული ინება ღმერთმან, და ღრუბელი, რომლითაც შემოზღუდვილ იყვნენ მიმავალნი ზემორე აღვიდა, და ათონიმან იხილა ცხადად წმიდანი მოციქულნი და მრავალნი მორწმუნენი მათთან ლამპრებითა და ფსალმუნთ გალობითა, მატარებელნი ღუთის-მშობლის სხეულისანი, გული მისი აღივსო შურითა, ძველი ბოროტება წინააღმდეგ ქრისტესა ასდუღდა მას შინა და მან ჰრქუა: « აჰა ვითარსა დიდებასა აძლევენ სხეულსა, რომელმანცა შუა ცბიერი, დამარღვეველი მამათა ჩუენთა სჯულისა ! » იყო რა იგი ძლიერი მრისხანედ, მივარდა იგი ცხედარსა და ენება დაკვეთება მიწასა ზედა სხეულისა პატიოსნისა დედუფლისა ჩუენისა: გარნა მირაახო კადნიერებით ხელნი ცხედარსა, მსწრაფლ ანგელოსმან უხილავად უნივთოჲთა მახვილითა მოჰკვეთა მას ორნივე ხელნი, რომელნიცა ეხმარნეს ცხედარსა და დაემოკიდნენ, ხოლო ათონი თჳთ დაეკვეთა ქუეყანასა ზედა და ღაღადჰყო: « ვაჲ მე ! » ჰსცნა რა ცოდვა თჳსი მან შეინანა და ევედრებოდა მოციქულთა: « შემიწყალეთ მე მონანო ქრისტესნო !» წმიდა მოციქულმან პეტრემ, დააყენა და ჰრქუა ათონის: « შენ მიიღე იგი რაჲცა გინდა; და აწ უწყოდე, რამეთუ უფალი არს ღმერთი მზღვეველი, და მან არა აყოვნა ! წყლულისა უკუე შენისა ჩუენ არა ძალ-გვიძს გამრთელება, უკეთუ არა ინებებს მას უფალი, თჳთ იგი, რომელსა წინააღუდეგით თქუენ, და უსამართლოთ მოჰკვალთ იგი. გარნა მანცა არა ინებოს განკურნება შენი, ვიდრემდის არა ირწმუნებ მას ყოვლითა გულითა შენითა, და არ აღიარებ ბაგითა, რომელ იესო არს ჭეშმარიტი მესსია ძე ღუთისა.» ათონიმ ღაღად-ჰყო: « მრწამს რამეთუ იგი არს წინად-უწყებული წინასწარმეტყუელთა მიერ მაცხოვარი სოფლისა ქრისტე. ჩუენ უწინარეს ვიხილეთ, რომელ იგი არს ძე ღუ-

თისა, გარნა დაბრმავებულთა შურითა და ბოროტებითა, არა ვინებეთ ცნობა მისი და ხილვა მას შინა საღმრთოჲსა დიდებისა, და მოვჰკალთ იგი უსამართლოდ უპატიურითა სიკუ̂დილითა, იგი ძალითა ღუ̂თისათა აღსდგა მესამესა დღესა და ჩუ̂ენ მოშურნენი მისნი სირცხვილეულ-გვყვნა. ამაოდ ვცდილობდით ჩუ̂ენ დაფარვასა აღდგომისა მისისასა, მივეცით მრავალი ფული მცუ̂ელთა: გარნა ვერა ძალ-ვიდევით დაყენება დიდებისა ყოველსა ქუ̂ეყანასა ზედა მისთჳს გავრცელებულისა.» წმიდა მოციქულ-თა მოისმინეს რა აღსარება ესე ათონისა და სინანული მისი ცოდუ̂ათა მისთა, განიხარეს, ვითარცა იხარებენ ანგელოსნი ცოდვილთა მოქცევისა-თჳს. მაშინ წმიდამან პეტრემ უბძანა მას, წარვედ და სახსარნი ხელთა შენთანი დასდე ნაკვეთთა ხელთა შენთა, დამოკიდებულთა ცხედარსა ზედა და სარწმუნოებით მოუწოდე სახელსა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა ღუ̂-თის-მშობლისასა. აღასრულა რა ესე ათონიმ, მოკვეთილნი ხელნი მისნი მოეგნეს სახსართა თჳსთა თანა მრთელად, ვითარცა იყვნეს უწინა-რეს, ხოლო ნიშად სასწაულისა დააჩნდა მონაკვეთთა ადგილთა ზედა მსგავსად წითლისა ძაფისა გარეშემო. ათონ დავარდა წინაშე კუბოსა, თაყუანისცა ქრისტესა ღმერთსა, ყოვლად-წმიდისა ქალწულისაგან შო-ბილსა და მუხლ-მოდრეკით ევედრებოდა მას მრავლითა ქებითა და გა-მომეტყუ̂ელებითა საღმრთო წერილიდამ ყოველთა წინასწარმეტყუ̂ელე-ბათა მის თჳს და მისათჳს მისისა, უფლისა იესოს ქრისტესა დაწე-რილთა, ყოველთა უკვირდათ სასწაულებრივითა სახითა განკურნება ხელ-თა ათონისათა, და სიტყუ̂ანი მის მიერ წარმოთქმულნი სადიდებელად ქრისტესა ღუ̂თისა და საქებრად ყოვლად-წმიდისა ღუ̂თის-მშობლისა. იგი შეერთდა წმიდათა მოციქულთა თანა, შეუდგებოდა მათ და სხეულ-სა ყოვლად-წმიდისა ქალწულისასა გეთსამანიასა შინა. ეგრეთვე სხუ̂ათა დაბრმავებულთაცა ჰსცნეს ცოდვა თჳსი და ვიდოდიან ღუ̂თის-მშობლისა-დმი, და შეეხებოდენ ცხედარსა მისსა აღეხილვებოდათ ხორციელნი და სულიერნი თვალნი მათნი. ყოვლად-წმიდა ქალწულმან ყოველთა მოწყა-ლემან, განახარა რა ყოველი სოფელი შობითა თჳსითა, არა სთნდა შემ-

დგომ მიცვალებისაცა განრისხება და შეწუხება თჳთ მტერთაცა თჳსთა არამედ მოწყალებითა და მადლითა თჳსითა, ყოველთა ნუგეშ-სცემდა, ვითარცა სახიერი დედა.

ოდეს წმიდანი მოციქულნი და ყოველნი მორწმუნენი მივიდნენ გეთსამანიას და დაასვენეს ცხედარი ყოვლად-წმიდისა სხეულისა ადგილსა საფლავისასა, კვალად იწყეს ტირილი და გოდება. ყოველნი ჰგოდებდენ დაობლებისა-თჳს თჳსისა და დაკარგვისა-თჳს ქსრეთისა საუნჯისა, და დაეცნენ სხეულისადმი ყოვლად წმიდისა ღჳთის-მშობლისა, ეამბორნეს მას ცრემლითა, და მისცეს მას უკანასკნელი ამბორება. ჟამსა მწუხრისასა ჩაასვენეს კუბო სხეულითა მღვიმესა შინა და შემოზღუდეს შესავალი მას შინა დიდითა ლოდებითა. წმიდანი მოციქულნი აღვსებულნი სიყვარულითა დედისა ღჳთისათა დაადგრეს სამ-დღე გეთსამანიას, და მუნით არა სადა განეშორებოდეს. და ასრულებდენ დღე და ღამე დაუცხრომელსა ლოცვასა და ფსალმუნით გალობასა საფლავისათანა მისისა. ჟამსა ამას ჰაერსა შინა ისმოდა ტკბილნი ხმანი ზეცისა ძალთანი, რომელნიცა ადიდებდნენ ღმერთსა და ევედრებოდნენ ყოვლად-უბიწოსა დედასა ღჳთისასა.

ერთი მხოლოდ თომა, საკუთარის განგებულებისამებრ ღჳთისა, არა იმყოფებოდა ჟამსა ყოვლად-წმიდის სხეულის დაფლვისასა, მორავიდა მესამესა დღესა გეთსამანიასა შინა, ფრიად შესწუხდა და დაჰღვარნა ცრემლნი მისთჳს, რამეთუ ვერა ღირს-იქმნა მიღებასა უკანასკნელის ღჳთის-მშობლის კურთხევისასა და გამოთხოვებასა მისთანა, და რომელ ვერ ღირს-იქმნა ხილვასა მისსა, რაჲცა იხილეს სხჳათა, ღჳთაებრივის დიდებისასა, და დიდთა საიდუმლოთა და სასწაულთა ქმნილთა მიცვალებისა და დაფლვისა ჟამსა ყოვლად-წმიდისა სხეულისასა. წმიდანი მოციქულნი შესწუხნეს მისთჳს და ურთიერთის შორის არჩევდეს განხსნასა საფლავისასა რათა იხილოს თომამ განსვენებულის ღჳთის-მშობლის სხეული და თაყვანი სცეს მას და ამბორს-უყოს უკანასკნელითა ამბორებითა და ნუგეშის-ცემულ-იქმნეს. ხოლო ოდეს გარდააგორვეს ლოდი და გახსნეს კუბო, ჰპოვეს

ცალიერ, იგინი ფრიად განსცვიფრდეს; მას შინა არღარა იყო სხეული, არამედ იდვა მხოლოდ სახვეველი მისი. საკვირველნი კეთილ-სუნნელებას გარდმოეფინა მათგან ყოველთა წმიდათა, მდგომარენი გარეშე საფლავისა ჰკვირობდეს და განიზრახვიდეს, თუ რასა ნიშნავდა ესე. ეამბორეს ცრემლითა და კეთილ-მოწიწებითა, დაშთენილსა კუბოსა შინა სამოსელსა, ევედრებოდეს იგინი უფალსა, რათამცა გამოუცხადოს მათ, თუ ვითარ იქმნა ყოვლად-წმიდისა ღ̂თის-მშობლის სხეულისათანა. და ესრეთ უეჭ̂ელად საკუთარის ნებისაებრ ღ̂თისა, მოხდა იგი, რომ წმიდამან თომა ვერღარა მოუსწრო ღ̂თის დედის სხეულის დასაფლავებასა: დაყოვნებამან ამან მსახურა მისდამი, რომელ წმიდათა მოციქულთა, ნუგეშინის საცემელად თომასა, განხსნეს კუბო, და მით ყოველსა ეკკლესიასა არწმუნეს აღდგომა ყოვლად-წმიდისა ღ̂თის-მშობლისა, მსგავსად ვითარცა უწინარესცა ურწმუნოებამან თომასამან მსახურა დამტკიცებისადმი ქრისტეს აღდგომისა.

მასვე დღესა მწუხრსა მოციქულნი დასხდნეს ტაბლასა ზედა, რათამცა მცირედ განამტკიცონ თავნი თჳსნი საზრდოჲთა. აჰა ვითარი ჩუ̂ეულება იყო მოციქულთა შორის: დროსა ტაბლასა ზედა სხდომისასა იგინი მარადის დაუტევებდნენ ადგილსა პატივად და სახსოვრად უფლისა ქრისტესა; და ოდეს დაასრულებდენ ტაბლასა აღსდგებოდნენ, მადლობდენ ღმერთსა და რა აღიღებდენ ნაკვეთსა პურისასა წილად უფლისა დადებულსა, ადიდებდენ დიდსა სახელსა ყოვლად წმიდისა სამებისასა და დაასრულებდენ ლოცვითა: «უფალო იესო ქრისტე შეგვეწიენ ჩუ̂ენ!» ესრეთ ჰყოფდნენ მარადის მოციქულნი, არა თუ ჟამსა ერთად მყოფობისასა, არამედ მაშინაც ოდეს რომელსამე მათგანსა ენება კერძოდ მიღება პურისა. ხოლო აწ გეთსამანიასა შინა ტრაპეზობისა ჟამსა იტყოდენ მხოლოდ მისთჳს, რომელ ვერ ჰპოვეს საფლავსა შინა წმიდა გუ̂ამი ღ̂თის-მშობლისა. და ოდეს სრულ-ჰყ̂ეს ტრაპეზობა და ჩუ̂ეულებისაებრ აღამაღლეს ნაწილი პურისა, გარდადებული უფლისათჳს და ადიდებდენ ყოვლად წმიდასა სამებასა, მასვე წამსა ესმათ ზე-

გარდამო გალობა ანგელოსთა. აღიწინეს თჳალნი და იხილნეს ჰაერსა
ზედა ყოვლად-წმიდა ქალწული, დედა ღჳთისა ცხოველი, მდგომა-
რე მრავალთა თანა ანგელოსთა და ბრწყინვალე დიდებითა გამოუთქმე-
ლითა, და მან ჰრქჳა მათ: « გიხაროდენ! მე თქჳენთანა ვარ ყოველთა
დღეთა ». განმხიარულებულთა მათ, ნაცჳლად ჩჳეულებრივისა ლოცვისა:
უფალო იესო ქრისტესა ღაღად ჰყჳეს: ყოვლადწმიდაო დე-
დოფალო შეგჳეწიენ ჩჳენ. შემდგომად ამა ხილვისა წმი-
დანი მოციქულნი დამტკიცდენ და ეკკლესიამან ყოველმან აღიარა, რო-
მელ დედა ღჳთისა აღსდგა მესამესა დღესა და აღიწია ცათა შინა ხორცითა.

მერეთ უკმოიქცენ საფლავისადმი, აღიღეს სუდარი ნუგეშად მწუხარე-
თა და ჭეშმარიტებისა დასამტკიცებელად, რომელ აღჰსდგა საფ-
ლავით დედა ღჳთისა. ესრეთ სიკჳდილმან ვერა იპყრო ხელ-
მწიფებასა ქჳეშე თჳსსა კიდობანი ცხოვრებისა; არა შესაძლებელ-იყო
რათა თანასწორ სხჳათა დაბადებულთა მისცემოდა ქჳეყნიერსა ხრწნი-
ლებასა იგი, რომელმანცა უხრწნელად შჳა შემოქმედი დაბადებულთა.
უმაღლესმან სჯულის-მდებელმან ინება, რათა თჳთ ყოფილ-იყო აღ-
მასრულებელად ჰსჯულისა, რომელიცა თჳთ მან მოჰსცა რათა ჰპა-
ტივ-იცემებოდენ შვილთაგან მშობელნი მათნი. ამისთჳს მან ჰპატივ-
ჰსცა ყოვლად-წმიდასა დედასა თჳსსა, ვითარცა თავსა თჳსსა: ვითარ-
ცა თჳთ აღსდგა მესამესა დღესა დიდებითა და ყოვლად-წმიდითა ხორ-
ცითა თჳსითა ამაღლდა ზეცად, ესრეთვე დიდებითა აღადგინა მესა-
მესავე დღესა და აღიყჳანა თჳსდა ზეცად. ამისთჳს წინათ აუწყებდა
საღმრთო დავით მეტყჳელი. აღჰსდეგ უფალო განსასჳე-
ნებელად შენდა, შენდა კიდობანი საწმიდისა შე-
ნისა. აღსრულდენ სიტყჳანი წინასწარმეტყჳელისა ამათ ორთა აღ-
დგომათა შინა, საფლავი დედისა ღჳთისა, ესრეთვე ვითარცა ძისა მისი-
სა, გამოკჳეთილი ქვისაგან, აქამომდე არიან ცარიელ სახედჳელად ყო-
ველთა მორწმუნეთა და საგანად თაყჳანისცემისა მათისა.

ესრეთ იყო დაფლჳა, დიდებული აღდგომა და მტკიცე სამოწმებელი

რომელ აღვიდა ზეცად ხორცითა ყოვლად-წმიდა ქალწული ღჳთის-მშობელი. ხოლო წმიდანი მოციქულნი, შემდგომად აღსრულებისა ყოვლთა ამათ სასწაულთა და ღჳთისა საიდუმლოთა, კვალად აღტაცებულ-იქმნენ და გარდაყჳანილ ღრუბელთა ზედა თჳთოეული მხარესა მას, სადაცა ქადაგებდენ ღჳთისა სიტყჳსა.

დღესასწაული მიძინებისა ყოველ-წმიდისა ღჳთის-მშობელისა დაწესდა 15 დღესა აგვისტოს. ეკკლესიამან ჰქმნა დაწესება ესე მეფობასა კეთილ-მსახურისა ბერძენთა მეფისა მავრიკისსა.—სიტყვისა-ებრ ეკკლესიისა, მედღესასწაულენი დიდებულისა გარდაყჳანისა დედოფლისა ქუეყანით ცად, ჩუენ ერთად ვადიდებთ შობილსა მისგან და დიდებითა მიმხჳმელსა მისსა ზეცისა ტაძარსა, ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომლისა არს თანა მამით და სულით წმინდით დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

(სვინაქსარი 15 რიცხვის აგვისტოსი).

# დარიგება სასულიერო სასწავლებელის მოწაფეთა შესახებ მათის თანამდებობისა, შედგენილი რუსულად ტფილისის სემინარიის რექტორის, არხიმანდრიტის ვ ი კ ტ ო რ ი ნ ი ს ა გ ა ნ.

1. ეცადე, რომ იყო კეთილი კაცი, არა მიმყოლი ცუდთა განზრახვათა, არამედ ჭეშმარიტი ქრისტიანე; ნამდვილად აღმასრულებელი წმიდის სახარების მცნებისა, ვითარცა სყიდული სისხლითა ღ̃თისათა.

2. გაიგე რომ შენ შორის, გარდა სჯულისა ღ̃თისა, არის სხუ̂ა სჯული—ცოდვისა (რომაელ. 7, 23), დამტკიცებული ჩუ̂ენში გარდასხდომისა გამო პირველ-ქმნილისა კაცისა; ყოვლის ღონის-ძიებით ეცადე დაუტეო ყოველი შენი ცუდი მიდრეკილება და ჩუ̂ეულება; მოასპო თჳს შორის ყოველი ცოდვითი განწყობილებაჲ და მიმზიდველობა: თვინიერ ამისა არ იქმნები შენ ღირსი წოდებად ქრისტიანის სახელისა: « რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, » იტყვის მაცხოვარი, « უარ ჰყავნ თავი თჳსი, და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე » (მარ. 8, 34).

3. გაქუ̂ნდეს ყოველთჳს გულში და ყოველს შენს მოქმედებაში სიყვარული ღ̃თისა და მოყუ̂ასთა: « შეიყვარე უფალი ღმერთი შენი »,— ვითარცა გვამცნო უფალმან იესო ქრისტემან—« ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყვასი შენი ვითარცა თავი თჳსი (მატ. 22, 37,—40. ლუკ. 10, 27).

4. იცხოვრე მარადის ღუთის შიშში,—გამოიხატე ყოველთჳს გულ-ში უფალი იესო ქრისტე და ყოველს შენს მოქმედებაზედ ჰსთხოვე მას კურთხევაჲ და კეთილ-წარმატებითი შეწევნა: თჳნიერ ჩემსა, იტყვის იგი, « არა რაჲ ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი; და რომელი დაადგრეს ჩემთანა, და მე მისთანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი (იოან. 15, 5).

5. მარადის გახსოვდეს შენი, დიდი წოდება, მისთჳს რომ შენ ემ-ზადები მართლ-მადიდებელის ეკკლესიის მღუდლად; და ყოველ შემთ-ხვევაში დაიცვე შენი თავი კეთილად, რომ თავის დროზე შეიქმნე ღირ-სი ამა უმაღლესისა ხარისხისა და კეთილად აღასრულო იგი.

6. განემზადები რა მღუდლად და უფლისა იესო ქრისტეს მოსამ-სახურედ, ისწავე ქრისტიანიერი ცხოვრება მაცხოვრისა, და შეასწორე მისსა უწმიდესსა ცხოვრებასა შენი ყოველივე მოქმედებაცა: « ვითარცა მან ჰყო-და შენცა ჰქმენ ეგრეთ» (იოანე 13, 15). ყოვლის ღონის-ძიებით ეცა-დე—რომ იყო თავ-მდაბალი და მშვიდი მსგავსად უფლისა იესო ქრის-ტესსა; რომელიცა თჳთ გვასწავებს ამა კეთილ-მოქმედებათა და იტყვის: « აღიღეთ უღელი ჩემი თქუჱნ ზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა » (მატ. 11, 29).

7. ვითარცა აღზრდილი ქრისტიანობრივს სიბრძნეში, დაუცხრომე-ლად იქონე გულსში შიში ღუთისა, რომელი არს «დასაბამი სი-ბრძნისა» (იგავთა 1, 7); ესე იგი, გეშინოდეს განრისხებისა ყოვლად სახიერისა უფლისა და გარდახდომისა-თჳს წმიდისა ნებისა მისისა; წარ-მოიდგინე გონებაში მისი სუფევა ყოველსა ადგილსა, და ყოველსა სა-ზრხუსა ზედა ცოდვებისასა ჰსთქვი იოსების თანა: «ვითარ ვჰქმნა ბორო-ტი ესე სიტყუჲ, და ვსცოდო წინაშე ღუთისა» (შექმ. 39, 9)?

8. ვითარცა მფარველი რჯულისა ღუთისა (ეზეკიილ. 33, 7) და დამცველი წესთა ეკკლესიისათა, სიყრმითგანვე ისწავე წმიდად დამარხვა მცნებისა უფლისა (გამოს. 20, 2—17), და წესთა მართლ-მადიდებე-ლის კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესიისათა, არა ეგრეთ ვითარცა,—

(ამა დროებათა შინა)—« სხჳათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო » (1 კორინ. 9, 27).

9. როგორათაც სასულიერო მოწაფე, ეგრეთ, თანახმად შენის წოდებისა ეცადე აღზრდად თჳს შორის სიყვარულისა სულიერის ცხოვრებითა, ხშირად და უმეტეს გაერთე მარხულობასა, ლოცვასა, დიდებულებასა ღჳთისასა და საღმრთო წერილის კითხვასა: და კრძალულებით და გონიერებით მოიხმარე ქჳყუნიერი კეთილი ყოველივე ღჳთისაგან მოცემული.

10. ყოველსავე დროსა შენის სწავლისასა ნუ დაივიწყებ ერთსაცა წამსა მას, რომელ შენ ხარ ჯერეთ მოსწავლე, ამის-თჳს პირველად ყოველთჳს და ყოველგან გულს-მოდგინებით ეცადე შეურჯებად სწავლისა, შესაბამი შენის დანიშნულის ღირსებისა,-მეორედ ყოველსავე შენსა მოწაფეობასა შინა მოიქეც ეგრეთ და იცხოვრე ვითარცა ყმაწვილი კეთილად აღზრდილი.

11. გიყვარდეს მართლ-მადიდებელის სარწმუნოება, თვინიერ ყოვლისა უარისა დასდევ სული შენი მისთჳს. ეცადე გაგებად მისთა დოღმატთა და მცნებათა; კეთილად და დაურღვეველად მიითვალე ერთიცა და მეორეცა—მტკიცედ და სარწმუნოდ იპყარ გონებასა შინა შენსა დოღმატნი, და ნამდვილად აღასრულენ მცნებანი მისნი.

12. ლოცვა იყოს საქმედ შენდა ყოველსა ცხოვრებასა შინა შენსა· რამეთუ იგი წარმართავს კეთილად ყოველსავე მოქმედებასა შენსა მომავალის მსახურებისა-თჳს: ამისთჳს შეიყვარე წმიდა ლოცვა; უმეტეს და უმეტეს გაერთე მას შინა; აღზარდე გულსა შინა შენსა ლოცვითი განწყობილება, რათა იყო ყოველ ჟამ განმზადებული აღვლენად უფლისა ჭაზრთა და გრძნობათა შენთა.

13. დაუკლებლივ, ყოველ დღე აღასრულე დილის და საღამოს ლოცვა დაწესებული ლოცჳანსა შინა, წარიკითხე იგი გულს-მოდგინებით და კრძალულებით. ამის გამო შენ შეერთდები ღმერთსა რომლისადმიცა ლოცულობ, და წმიდათა მამათა რომელთაგანაც დაწესებულ არიან ლოცვანი

ჩუენთჳს. შემდგომ ლოცვის შესრულებისა ჰსთხოვე უფალსა შენის საჭიროებისა-თჳს წრფელის გულით.

14. ჰსთხოვ რა უფალსა ცხოვრებასა სულისა შენისასა, ამასთანავე სთხოვე კეთილ დღეობისა-თჳს მამულთა შენთა, მშჳდობისა-თჳს და ცხოვრებისა უკეთილ-მსახურესისა ხელმწიფისა, უწმიდესისა და უმართებულესისა სინოდისა, ეპარხიის მწყემსთ-მთავრისა, სულიერის მოძღვრისა, მშობელთა, მასწავლელთა, კეთილის-მყოფელთა და ყოველთა მეგობართა და ნაცნობთა-თჳს; ეგრეთვე ილოცე მოძულეთა და მაჭირვებელთა შენთა-თჳს უკეთუ გესვას ესე ვითარი კაცი.

15. ესრეთნი ვედრებანი გამოსთქვი შენის სიტყვებით მხურვალის გულით, მაგალითებრ: შემდგომ დაწესებულის ლოცვისა ესრეთ: «უფალო მოეც კეთილ-დღეობა და ყოველსა შინა კეთილ-წარმატება საყვარელსა ჩუენსა მამულსა,» ამასთანავე მეტანია; შემდგომ: «აცხოვნე უფალო და შეიწყალე უკეთილ-მსახურესი ხელმწიფე ჩუენი იმპერატორი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი უკეთილ-მსახურესი ხელმწიფა იმპერატრიცა, მ ა რ ი ა მ ალექსანდრეს ასული; მემკვიდრე მისი კეთილ-მორწმუნე ხელმწიფე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ალექსანდრეს ძე და ყოველი მმფებელი სახლეულობა მათი და დაიცვე იგინი მრავალსა წელსა»,—კვალად მეტანია: ამასთანავე: «აცხოვნე უფალო და შეიწყალე უწმიდესი და უმართებულესი სინოდი და დიდი უფალი ჩუენი მაღალ-ყოვლად უსამღუდელოესი არხიეპისკოპოსი ე ვ ს ე ვ ი და დაიცვე იგი მრავალსა წელსა», კვალად მეტანია, და სხუანი რომელთადმიცა მოვალე ხარ მოხსენებად უფლისა მიმართ.

16. უკეთუ თქუენ შორის იყოს საზოგადო ლოცვა, მაშინ დღეგრძელობისა-თჳს და ცხოვრებისა ხელმწიფე იმპერატორისა და კეთილ-დღეობისა-თჳს მამულთა უმჯობეს არს თქუენდა რათა წარსთქვათ გალობით საეკკლესიო ტროპარი «აცხოვნე უფალო ერი შენი» და სხუანი, და შემდგომ მეტანია. ხოლო მოკლე ლოცვები: უწმიდესისა და უმართებულესის სინოდისა, ეპარხიის მღუდელ-მთავრისა, მთავართა და სხუა-

თა ამ შემთხვევაში უნდა წარსთქუას თვითოეულად და კაფიათად განწესებულმან მოწაფემან, რომელიც კითხულობს ლოცვებს წიგნითა; და შემდგომ ყოველთა ერთად მეტანია.

17. მოიხსენე დღე ყოველ სახელოდობრივ მიცვალებულნიცა, მახლობელნი შენდა ნათესაობით, მეგობრობით ანუ სხუა შემთხვევით და ჰსთქვი ესრეთ: « განუსვენე უფალო სასუფეველსა შენსა » (მონასა ანუ მხევალსა სახელი) და ჰქმენ მისთჳს მეტანია.

18. ყოველთჳს, შენს ლოცვებში მოიხსენე, განსვენებისა-თჳს სასუფეველსა ცათასა, კეთილ-მსახურნი მეფენი; რომელთაცა აღმოაჩინეს ჩუენდამო დაუვიწყებელი კეთილი: ალექსანდრე პავლეს ძე, ნიკოლაოზ პავლეს ძე და საქართუელოს მეფენი და დედოფალნი.—

19. როდესაც იყო მოცლილი ანუ არ იცოდე რით აწარმოვო ჰაზრი შენი რომ არა მოიწიოს შენდა ცუდნი განზახვანი სთქვი გულში: უ ფ ა ლ ო  შ ე გ ვ ი წ ყ ა ლ ე ნ ! ანუ მოკლე ლოცვა უფლისა იესო ქრისტესი რომელიცა გვასწავა თჳთ მაცხოვარმან ზრახვისა-თჳს სიყვარულისა.

20. შეიყვარე ყოვლითა გულითა შენითა უფალი იესო ქრისტე, რომლისადმიცა განსაკუთრებით იზრდები მსახურებისა-თჳს; აწყვე სულსა და ენასა შენსა რათა საშუალ მოქმედებისა შენისა წრფელის გულით უღაღადდო მას: « უფალო იესო ქრისტე ძეო ღმრთისაო შემიწყალე მე ცოდვილი ».

21. გრწამდეს «სახელი მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა » (მატთე 28, 19), მტკიცედ დაინერგე შენს გონებაში ესე უმაღლესი დოღმატი ჩუენის სარწმუნოებისა, და ყოველ-დღიურს ლოცვაში ჰსთქვი « ყოვლად წმიდაო სამებაო შეგვიწყალენ ჩუენ » და შემდგომი.

22. პატივ-ეც ყოვლითა გულითა შენითა ყოვლად წმიდასა ქალწულწულსა ღმრთის-მშობელსა, შუამდგომელსა და მფარველსა ცხოვრებისა ჩუენისასა და ყოველ დღე მრავალ გზის განუმეორე მას მილოცვა ანგელოსისა: « ღმრთის-მშობელო ქალწულო გიხაროდენ ! მიმადლებელო მარიამ », და შემდგომი. მღუდელ-მთავარი დიმიტრი როსტოველი ყო-

ველს საათს იტყოდა ამას ღუთისა დედისა მიმართ.

23. მოიხსენე ეგრეთვე შენს ლოცვებში ყოველნი წმიდანი ღუთისა-ნი, და ჰსთქვი: « ყოველნო წმიდანო ღუთისანო ევედრენით ღმერთსა ჩემ ცოდვილთა-თჳს !» განსაკუთრებით ყოველთჳს ევედრე შენსა მფარ-ველსა ანგელოსსა,—იმ წმიდასა რომლისა სახელი შენ გქვს,—წმიდასა რომლისა სახელსა ზედაცა კურთხეულ არს ეკკლესია შენი, რომელსა ში-ნა შენ სცხოვრებ, იმა წმიდათა რომელთაცა ხატნი გაქუს. რამეთუ ესე ყოველნი არიან ჩუენნი უხილავნი ზედა-მდგომელნი, ზეციურნი აღზრ-დილნი მოცემულნი შენდა ღუთისა მიერ მფარველად და წინა-მძღვრად საუკუნოსა ცხოვრებისადმი: შიშით და კრძალულებით მოიხსენენ იგინი, ევედრე მათ, ებაძვე მათსა სარწმუნოებასა და სიყვარულსა ღუთისადმი,— და მაშინ შეიქმნები ნამდვილი მათ მიერ აღზრდილი.

